საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1902-03
08/07/2020

“ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების
სტუდენტებისთვის 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ” რექტორის
2019 წლის 7 აგვისტოს N2011-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2020 წლის 30 ივნისის N5871-35 სამსახურებრივი ბარათისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის N 6 სხდომის გადაწყვეტილების გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება რექტორის 2019 წლის 7 აგვისტოს N2011-03 ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ დანართში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების (გარდა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის) სტუდენტთა ნაწილში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე.;
3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი